ოთხშაბათი, 1918 წ. მაისის 1 № 84

ოთხშაბათი, 1918 წ. მაისის 1 № 84

ყოველდღიური გაზეთი

ფასი თბილისში და პროვინციაში 30 კაპ., რკ. გზის სადგურებზე 35 კაპ.

# საქართველო

**რედაქცია**

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. ფსევდონიმით გამოგზავნილი მასალა უყურადღებოდ რჩება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქტორი იღებს დღის 2—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. ხელნაწერები ... შესწორება აღარ ეძლევა.

**კონტორა**

... 18 მანეთი (წლიურად ...) 6 მ. და 50 კ. ... № 30 კ. განცხადების ფასი ... 50 კაპ. ... 80 კაპ. ... ფასი ... 15×2—10 მანეთი, 20×2—13 მანეთი, 30×2—15 მანეთი. ... 1 მან. ... 1 მ. და 50 კ. ... კონტორის სახელზე. ... 1½ საათის ... კონტორაში. კონტორა ღიაა დღის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

**მისამართი:** თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5 ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: Тифлисъ. почт. ящикъ № 76. ტელეგრამის ადრესი: Тифлисъ. Сакартвело.

**ტელეფონი** რედაქციისა და კონტორისა 15—7

## დღეს:

### ცნობები:

ოსტენდესა და ზეებრიუგესთან ინგლისელებს 53 ოფიცერი და 538 ჯარისკაცი დაუკარგავთ.—კემმელის აღების შემდეგ გერმანელებს ხელთ უგდიათ 7.100 ტყვე, 53 ზარბაზანი და 233 ტყვიისმფრქვეველი.—გერმანელ ჯარებმა სიმფეროპოლი აიღეს.—ამიერკავკასიის რესპუბლიკის კონსტიტუციის შესადგენად საგანგებო კომისია სდგება.—საზავო დელეგაცია ამ დღეებში ბათომისკენ გაემგზავრება.—თავმჯდომარეს განსაკუთრებულ უფლებებით აღარ აღჭურვენ.—ოსმალეთის საზავო დელეგაცია ბათომში მაისის 5 ჩამოვა.

საქ. ერ. დემ. პ. სტუდენტების კომიტეტი ღრმა მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს, რომ აჯიყაბულის ბრძოლაში ტრაგიკულად დაღუპულთა

**გრიგოლ ჩიქოვანის**

**და**

**ვასილ სარიშვილის**

გვამები უკვე ჩამოასვენეს თბილისში და დღის საღამოს გაასვენებენ პირველს—ქუთაისში, მეორეს გურიაში. საღამოს 5 საათზე, სადგურზე, გადახდილ იქნება პანაშვიდი.

საქ. ერ.-დემოკრატ. პარტ. მთავარი კომიტეტი ღრმა მწუხარებით აღნიშნავს სოციალისტ ამხანაგების

**გრიგოლ ჩიქოვანის**

**და**

**ვასილ სარიშვილის**

აჯიყაბულის ბრძოლაში ტრაგიკულად გარდაცვალებას.

ცხედარნი უკვე ჩამოასვენეს თბილისში და აქედან დღეს, საღამოს მატარებლით გაასვენებენ პირველს ქუთაისში და მეორეს გურიაში. საღამოს ხუთ საათზე სადგურზე გადახდილ იქნება პანაშვიდი.

ხუთშაბათს, მაისის 2-ს ვერის წმიდა ნიკოლოზის ეკლესიაში გადახდილ იქნება სწორის წირვა და პანაშვიდი ექიმ

**სოფიო მამრაძის**

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ დამწუხრებულნი: მშობლები—გრიგოლი და ბარბარე, ძმები—პეტრე და გიორგი, და—მარიამი. 1-1592 1

## სახელმწიფოს დაცვა

ჩვენი მთავრობა ღებულობს გარეშე და შინაური მტრების წინააღმდეგ თავდაცვის ზომებს, მაგრამ მეტად მორცხვად და გაუბედავად. როდესაც სახელმწიფოს გარს აშკარა მტრები და მოღალატეები ახვევიან, მთავრობის ასეთი თავდაჭერილობა და გაუბედაობა სახიფათოა და დამღუპველი. რასაკვირველია, საჭიროა, რომ ასეთს, თუნდაც ქვეყნისთვის მეტად საშიშ მდგომარეობაშიაც შეძლებისდაგვარად დაცული იქნეს კანონიერება და სამართლიანობა. ამისთვის საჭიროა ფხიზელი ყურადღება და საქმის გამოძიება, რომ დამნაშავეთა ბრალი ეჭვმიუტანლად არ დაიწყოს. ხოლო, როდესაც მოღალატენი და სახელმწიფოს მტერნი აშკარად და დაუფარავად მოქმედებენ მთავრობისა და მთელი სახელმწიფოს წინააღმდეგ, როდესაც საქმე მათი ყველასთვის აშკარა და ცნობილია და, მაშასადამე, მთავრობას არავითარს ეჭვს არ უჩნდება მათს ბრალიან-ყოფილობაზე, მთავრობის მოქმედება უნდა იყოს პირდაპირი, გარკვეული და მტკიცე. ერთს საათში განკარგულების გაცემა, რომ იმ ჯგუფებს, რომელნიც აშკარად სახელმწიფოს წინააღმდეგ მოქმედებენ იარაღი დააყრევინონ და მეორე საათში იმ განკარგულების შესრულება, ერთ დღეს გაზეთის დახურვა, რომელიც ახალი სახელმწიფოს წინააღმდეგ ხალხს ამხედრებს და მეორე დღეს მისი მაგიერის გამოცემის ნების დართვა—ყოველივე ეს ხალხში ჰბადებს რწმენას, რომ ახალი სახელმწიფოს წინააღმდეგ ყველას შეუძლიან ამხედრება და მოღალატეობა დაუსჯელად და უპასუხოდ. ამასთანავე დღითი დღე იზრდება გაბედულობა და კადნიერება იმ ელემენტების, რომელნიც ჩვენს დამოუკიდებელ არსებობას აშკარა ბრძოლას უცხადებენ. რუსეთის ომით გვემუქრებიან, ამიერკავკასიაში ბოლშევიკურ აჯანყების მოწყობას გვპირდებიან და ამასთანავე სახელმწიფოს მექანიზმის ყველა ნაწილების დაშლას სცდილობენ და მათ ამის ძალა შესწევთ, ვინაიდან თითქმის ყველა სახელმწიფო დაწესებულების სათავეში ის პირები დგანან, ვინც ამიერკავკასიის რუსეთიდან გამოყოფით არიან განაწყენებული და ვინც ამის გამო მას ბრძოლას უცხადებენ.

იარაღის საწყობები, სხვადასხვა ფრონტის დაწესებულებათა საწყობები, აფსარებელი სიმდიდრე და ჩვენი ჯარებისათვის დღეს უსაჭიროესი მოწყობილება ამ დაწესებულებების ხელში იყო და არავინ იცის სად არის დღეს ეს აუარებელი სიმდიდრე. ბათუმი რომ ოსმალებმა აიღეს, მხოლოდ მაშინ გამორკვეულა, თუ რა აუარებელი სამკურნალო მასალა ჰქონია და რა ფართო ორგანიზაციების მოწყობა შეეძლებია იქაურ წითელ ჯვარს. ეს გამორკვეულა მაშინ, როდესაც ყველა მისი ნივთები ოსმალეთის სამსახურში შესულან.

დღეს აქ, იმ დაწესებულებაში, სადაც კიდევ დარჩენილა სამხედრო მოწყობილება და ქონება, როგორც გადმოგვცემენ, ფიცხელი მუშაობა სწარმოებს. რაც კი რამ ძვირფასი საქონელია და შეიძლება ადვილად გატანა, რუსეთში გააქვს და ამისთვის ნებართვას თუ სხვა რამეს ისინი ადვილად აძლევენ, ვინაიდან ყველა დაწესებულებების სათავეებში მათი თავისი ხალხი ჰყავთ. ამ გზით, ამბობენ, მრავალი ავტომობილი გაუტარებიათ სამხედრო გზით რუსეთში. ეს მაშინ, როდესაც ერთი ქართული დივიზიის უფროსი გენერალი, რომელიც ყველაზე უფრო მნიშვნელოვან სტრატეგიულ ხაზს იცავს ცხენით და ტროიკით მოგზაურობს თავის გრძელს ფრონტზე, იგი დიდი ხანია შუამდგომლობს, მაგრამ ავტომობილი ვერ მიუღია—არ გვეშოვება სრულებითაო.

როდესაც ყველა იმ დაწესებულებებს, რომელნიც შეადგენენ სახელმწიფოებრივ მმართველობას მოღალატეები, თუ უკეთეს შემთხვევაში ჩვენი სახელმწიფოს ორგულნი ხელმძღვანელობენ, როგორ შეიძლება რომ ნაყოფიერი იქნეს მთავრობის მუშაობა?

ეხლა სახელმწიფო ბანკის მოსამსახურეთ მოსკოვში ბოლშევიკებთან დელეგატები გაუგზავნიათ და მათ რჩევას სთხოვენ, შესახებ ბანკის მუშაობისა. ბანკის მოსამსახურეთ თურმე სახელმწიფო ბანკი რუსეთის კუთვნილებათ მიაჩნიათ და იმ აზრის ყოფილან, რომ ეს ბანკი რუსეთში უნდა იქმნას გადატანილი ყოველივე თავის ქონებით, რაკი ამიერ-კავკასიამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

სახელმწიფო ბანკის მოსამსახურეთა ასეთი თავხედური მოღვაწეობის წინააღმდეგ, სამწუხაროდ, ჩვენს მთავრობას ჯერ შესაფერისი ზომები არ მიუღია. ასეთივე მოვლენები მოსალოდნელია სხვა დაწესებულებებში, სადაც რუსები მსახურობენ. მათ ყველა სახაზინო დაწესებულებანი რუსეთისა და თავის საკუთრებად შეუძლიანთ გამოაცხადონ, თუ კი ამას მთავრობა ასე დაუსჯელად დასტოვებს.

ყველა ამ ელემენტებს ზურგს ის გარემოება უმაგრებს, რომ თვით ამიერკავკასიაში არის ისეთი მნიშვნელოვანი ცენტრები, როგორიც ბაქო, რომელიც ამიერ-კავკასიის მთავრობას დღემდის არ ემორჩილება და მას კიდევაც ებრძვის ყოველი საშუალებით. ამიერ-კავკასიის შინაურ მტრებს ფრთას ასხამს ბაქოსა და ჩვენი ქვეყნის სხვა ადგილებში ბოლშევიკების გამაგრება და გაძლიერება. თვით ბოლშევიკები კი დიდს სიმტკიცეს და გაბედულებას იჩენენ. ასეთი მდგომარეობა სახიფათოა და საშიში, თუ კი ის კიდევ გაგრძელდა. სულ უბრალო შეფერხება და დაბრკოლება ჩვენი დამოუკიდებელი მთავრობისათვის, შესაძლოა, კატასტროფად იქცეს, როდესაც მას ბაქოში დარაზმული და ფხიზელი მტერი უდარაჯებს.

ასეთი მდგომარეობა არ შეიძლება გაგრძელდეს, თუ კი ჩვენს მდგომარეობას ძალა და გამბედაობა შესწევს თავი დააღწიოს თავის ორპირულს პოლიტიკას და მტკიცედ გადადგას ნაბიჯები ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობისა და თავისუფლების დასაცავად.

ჩვენ გვწამს, რომ ჩვენი საზავო დელეგაცია მიაღწევს მიზანს და ოსმალეთსა და მის მოკავშირეებს ჩვენთვის მისაღებ და დამცირებულ ზავით შეეკვრება. მაგრამ ჩვენ ამასთანავე უნდა ვიცოდეთ, რომ ჩრდილოეთის ბაშიბუზუკებისა და მათ დამხმარე ჩვენს შინაურ მოღალატეების წინააღმდეგ სასტიკი ბრძოლა გვემართება და ამას საჭიროა რომ დროზე შევუდგეთ.

## გადმოხვეწილთა დახმარება

ყარსიდან და ალექსანდროპოლიდან საშინელი ამბები მოდის. ოსმალეთის ჯარების ყარსში შემოსვლით მთელი ქრისტიანული მოსახლეობა ოლქისა თავის კარმიდამოს სტოვებს და რამდენიმე ასი ათასი მცხოვრები თავშიშველი გამორბის მამა-პაპეულ ადგილებიდან. რითია გამოწვეული ეს საშინელი ამბავი—ჯერ დაწვრილებით არ ვიცით. გვაქვს მოკლე ცნობა, რომ გამოქცევა გამოწვეულია ოსმალების შემოსვლით. გამორბის მთელი სომხობა და გამორბიან არა სომხები—რუსები და ბერძნები—რომლებსაც, რამდენათაც იუწყებიან, ოსმალები არ ერჩებიან. და, როგორც ყარსიდან იტყობინებიან ეს უბედურებელი გამოქცეულები თბილისისკენ ეშურებიან. ადვილი მისახვედრია რა სურათს უნდა წარმოადგენდეს ეს ბრბო გამოქცეულებისა, რომელთაც არა აქვთ თან არც საკვები, არც გადასახადი საშუალებანი, რომელნიც სწყევლიან თავის თავს და მათაც, ვინც არის მიზეზი მათის ასეთის უბედურებისა.

თბილისის პრესის ერთ ნაწილში უკვე გაისმის საყვედური და ეს საყვედური მთლად ჩხენკელის მთავრობას სწრით მიახვედრონ. არიან ადამიანები, რომლებიც ყოველ ეჭვის გარეშე ამტკიცებენ, რომ მასსიური გამოხიზვნა შედეგია მთავრობის უთავდარიგობისა და სულით მთელი მიზეზი ამ სახიფათო მოვლენისა იმ ბრძანებაში ჰპოვონ, რომელიც ჩხენკელმა გასცა ყარსის დაცლის შესახებ. ცხადია, ასეთი მტკიცება მხოლოდ ფანდია და ხრიკი იმ პირების, ან იმ უკმაყოფილო ჯგუფების, რომლებიც აქამდისაც ვერ შერიგებიან ჩხენკელის სამინისტროს. ჩვენის ღრმა რწმენით, თუ ვისმე ადევს ბრალი, ისევ მათ ვინც დროზე არ შეასრულა ჩხენკელის ბრძანება, და ვინც სწორედ ამის გამო არ მოამზადა მცხოვრებლები იმ აქტისთვის, რომელსაც ყარსის ევაკუაცია ჰქვიან. სწორედ ამ ნიადაგზე აღმოცენდა ჩხენკელის სამინისტროს კრიზისი და სწორედ სომხური ერთეულის საქმე იყო, რომელიც თბილისში ყველაფერს სჩადიოდა რომ ჩხენკელის სამინისტრო დამხობილიყო და იმავ დროს ყარსში არაფერს არ აკეთებდა, რომ ხალხი მომზადებული შეხვედროდა ოსმალების შემოსვლას.

ეხლა, როდესაც თვით სომხურ ხელმძღვანელ წრეებისგან არის გართულებული საქმე—დამნაშავის სკამზე მთავრობა სურთ დასვან და მისგან მოითხოვენ ზომების გამონახვას, რომ აწიოკებულ ხალხს ეშველოს რამე. ჩვენის აზრით მთავრობა მაშინაც იქნებოდა მოვალე მზრუნველობა გამოეჩინა, როცა ეს სამწუხარო და სახიფათო მოვლენა მართლა მისის მიზეზით იქნებოდა გამოწვეული და ეხლაც, როცა მთავრობას აქ ყველაზე ნაკლებ მიუძღვის ბრალი. ამ გადმოხვეწილთა ტალღას შველა და მოვლა უნდა და არა მარტო იმიტომ, რომ ამას მოითხოვს კაცთ-მოყვარეობა და პირში მყოფთა თანაგრძნობა, არამედ იმიტომაც აგრეთვე, რომ რამდენიმე ასი ათასი მშიერ-მწყურვალი და ამასთანავე შეიარაღებული გადმოხვეწილი ანარქიის ბუდედ და ჩვენი სახელმწიფოს მტერთა ხელში იარაღად არ გადაიქცეს.

მთავრობამ თითონ უნდა გამონახოს ყველა ზომები, მაგრამ ყველა იმ ზომებში, რომელსაც გამონახავდა ის, ჩვენ არ ვურჩევდით მხოლოდ ერთს. ყოვლად შეუძლებელი და ყოვლად წარმოუდგენელია, რომ ეს მშიერ-მწყურვალი, საცოდავი და საბრალო ხალხი, გაბოროტებული იმით, რომ ყველაფერს ჰკარგავს—თბილისში მოდის. თბილისი როგორც რესპუბლიკის ცენტრი, სადაც ხდება მთავარი სახელმწიფოებრივი აღმშენებლობა და სადაც მუდამ წესრიგი უნდა იყოს დაცული, მთელი ჩვენი მომავლის გულისთვის, მთელი რესპუბლიკის გულისთვის თავისუფალი და უზრუნველყოფილი უნდა იყოს მოუსვენარი და ანარქიულ ელემენტებისგან. იმ გონე-

ზის რყევის დროს კი, რომელსაც განვიცდით ჩვენ და როცა მთელი ჩვენი ქვეყანა და მეტადრე თბილისი სავსეა პროვოკატორულ ელემენტებით, რომელსაც მთავრობას მუდამ დღე ძირს უთხრიან და მტერი მზათ არის რესპუბლიკას ლახვარი ჩასცეს — ადვილი წარმოსადგენია რა მასალა ექნება უკმაყოფილებისა და თვით პროვოკატორულ გამოსვლებისთვის აწიოკებული და ბინადრობა დაკარგული საზრდოთ ყარსის მცხოვრებლები. გამოჩნდება ბევრი უსინიდისო და უპასუხისმგებლო პირი, რომლებიც თავიანთ ავანტიურულ მიზნების გულისთვის ამ საცოდავ ხალხსაც არ დაინდობენ და თბილისი, სადაც ისედაც ბევრი უკმაყოფილო ელემენტია, ანარხიის ბუდედ იქცევა: სიმშილი და წყურვილი, ამ გამოქცეულებისა, რომელსაც ვერ დააკმაყოფილებს სურსათით ღარიბი თბილისი, საუკეთესო დედამამა იქნება ამ ანარქიისა. აი, რას არ ურჩევდით მთავრობას. მაგრამ დანარჩენში, რაც კი რამ ზომა გააჩნია მთავრობას და არა მარტო მთავრობას, რესპუბლიკის ყველა მამულიშვილს, ყველა უნდა ვიღონოთ და შევქმნათ ნამდვილი დახმარება, რომელიც მოაწყობს გამოქცეულთა ბედს. ეს ზომები მალე უნდა იქმნეს გამონახული და გამოყენებული.

## სადღეისო

II

ავიღოთ ახლა ომი—ეს ნამდვილი პამფლეტი იყო. იმიტომ კი არა, რომ ამიერკავკასიას, ან თუნდ საქართველოს, ომის წარმოება არ შეეძლო, არამედ იმიტომ, რომ მის ხელმძღვანელებს წარმოდგენაც არა ჰქონდათ თუ რა არის ომი. სოციალისტებს, რომელთაც „სძულთ" ომი, „სძულთ" ჯარი, როგორ უნდა ეწარმოებინათ ომი ან მოეწყოთ ჯარი? და ჩვენც ვხედავთ იმ საცოდაობას, რომელშიაც ცვივდებოდნენ ისინი: ბათომის ეპოპეია—ამ ნაირივ ისტორიისათვის სანიმუშო მაგალითია სოციალისტების ომისა. ჯერ ხომ ოსმალეთთან ომიც არ იყო, როცა სოციალისტებმა „დაიპყრეს" ფლოტი. სასაცილო იქნებოდა, სამარცხვინო რომ არ ყოფილიყო: თოფ-ზარბაზნით, ტყვიისმფრქვევლებით დაეცნენ, ასტყდა ქექა-ქუხილი და როცა მტერი ხელთ იგდეს, საარაკო თევზივით, მთელი ფლოტი ისევ მტერს ჩააბარეს: ამხანაგები არიანო, ამხანაგები იყვნენ ისინი, ვინც სცარცვავდა და ჰკლავდა ქვეყანას, ვინც არბევდა და ანადგურებდა ქალაქებს, ხოცავდა ხალხს; ამხანაგები იყვნენ ისინი, ვინც შემდეგ გაიპარა და გაიპარა ფლოტის ნაწილები ზოგი რუმინეთში და ზოგი რუსეთში. ასეთ „გამარჯვებისათვის" „ორდენებიც" კი და ღენერლობის ხარისხები დაარიგეს. ასეთივე მზადება იყო ხმელეთზედ: „მუდმივი ჯარი ბოროტებაა", გაჰკიოდნენ სოციალისტები და ბათომის გამაგრებას ანდობდნენ ერთი-ორი კვირით ჩამოსულ ტრამვაის და დეპოს მუშებს, გულულ ენტუზიაზმით მოსულ გლეხებს და კოწია საბახტარიშვილს, რომელსაც ფაქტიურად გაცილებით მეტი უფლება ჰქონდა, ვიდრე „ვინმე" მდივანს, გედევანიშვილს ან გაბაშვილს. რითაც გათავდა ეს სოციალისტური სამზადისი, საუბედუროდ კარგად ვიცით და როდესაც ამ დიდი, გამოუსწორებელი უბედურების შესახებ მოხსენებას აკეთებდა მაშინდელი პრემიერი და „სამხედრო"(?) მინისტრი ე. გეგეჭკორი—იგი სიტყვებსაც ვეღარ პოულობდა და დაბნეული ყველაფერს „პატოლოგიურ" მოვლენას-და აბრალებდა—სამარცხვინო გამოქცევას ბათომის დამცველებისას.

მაგრამ განა ამით ისწავლეს რამე სოციალისტებმა? იმავ კრებაზედ ბ-ნი გეგეჭკორი და ბ-ნი ხომერიკი გამოვიდნენ არა მარტო დამცველებად თავისი წაგებული პოზიციებისა, არამედ როგორც გამარჯვებულნი დაჰკიოდნენ კრებას: „ჩვენ წინდაწინვე ვიცოდით, რომ დავმარცხდებოდითო".

ასეთივე გმირული იყო საზავო მოლაპარაკება. მეორე ბელადი სოციალ-დემოკრატიისა აკ. ჩხენკელი ნაკლები დიპლომატიური ბარგით წავიდა ტრაპიზონში, ვიდრე დაბრუნდა უკან, მაგრამ განა ტრაპიზონის მოგზაურობას შეეძლო ესწავლებინა სოციალისტებისთვის ის, რისაც წინააღმდეგი იყო მთელი თავისი შეგნებით მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში? და ჩხენკელის დიპლომატიაც დამარცხდა. დამარცხდა იმიტომ, რომ „მძიმე არტილერიაში" უხდებოდა მუშაობა, დამარცხდა იმიტომ რომ არ იცოდა ვისი პირით ლაპარაკობდა, რომ ისიც არ იცოდა, როგორ უნდა ელაპარაკნა. მისი მოხსენება ეროვნულ საბჭოში უფრო მოგაგონებდათ გულწრფელ და ახლად ფეხის ადგმით აღტაცებულ ბავშვის ტიკტიკს, ვიდრე გამობრძმედილ დიპლომატის ლაპარაკს. ის ამბობდა საანბანო ჭეშმარიტებათ ისე, თითქო იქ, ტრაპიზონში, რაუფ-ბეიმ აუხილა თვალები იმაზედ, რისთვისაც აქ გვაწამებდნენ, მოღალატეებს და კონტრ-რევოლიუციონერებს გვეძახდნენ. სოციალისტების ზავი ისევე დამარცხდა, როგორც ომიანობა და თუ გეგეჭკორი გადადგა და ჩხენკელი დარჩა—ეს იმიტომ კი არა, რომ ან ერთს ან მეორეს შეეგნოს თავისი სახელმწიფოებრივი მდგომარეობა, არამედ იმიტომ, რომ შიგნით პარტიაში რაღაც შინაურული და საიდუმლო მოვლენები ხდება.

რომ ჩაჰყვეს ადამიანი, ასეთსავე „ისტორიას" დასწერს სოციალისტების ყოველ მოქმედებაზედ, მაგრამ ეს ისტორიას მივანდოთ და სადღეისოდ მხოლოდ ერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება: თუ ხელთ გვჭირავს საჭე ამა ქვეყნისა, კიდეც უნდა მართოთ ქვეყანა სახელმწიფოებრივი სიძლიერით და ბრძანებლობით, უნდა მკაფიოდ მიუყვანოთ ქვეყანა დასახულ მიზნისაკენ და არა ძირს უთხრიდეთ იმ სახელმწიფოებრივ იდეას, რომლის დადგმულ ტახტზედ თქვენვე დაგაბრძანათ ბედმა.

რაე.

## ქართული პრესა

ამიერ-კავკასიის სახელმწიფოს მტრების შესახებ სოც.-დემ. გაზეთი „ალიონი" სწერს:

„ჩვენს ნორჩს სახელმწიფოს—ამიერ კავკასიის დემოკრატიულ რესპუბლიკას—მრავალი მტერი გაუჩნდა. თუ დღემდე თეთრ კბილს გვაჩვენებდნენ, დღეს, როდესაც ამიერ კავკასია ახალ გზას დაადგა, როდესაც რუსეთთან „უკანონო" კავშირი გადასწყვიტეთ და დამოუკიდებლობა გამოვაცხადეთ, ანმაურად, ველურად ასისინდა აშმორებული ქვიობი გუშინდელი მეგობრებისა. ჩვენში ჩამოთესლილი უცხო ტომის „სოციალისტი", რუსეთში გაკოტრებული და აქ არამკითხე „ოპეკუნად" მოვლენილი, დღეს უკვე შავ გულს გვიჩვენებს და კბილთა ღრჭენით თავის ლაშქარს ამიერ კავკასიის მთავრობასთან საომრად მოუწოდებს.

დღეს დაფარული აღარაფერია. აშკარად, ცხადათ, დღისით—მზისით, ქუჩებში თუ კრებებში, გაზეთებით თუ პროკლამაციებით, თუ ზეპირი ქადაგებით შავი რაზმის აგენტები მოუწოდებენ შეუგნებელ ბრბოს მთავრობასთან, სეიმთან და განსაკუთრებით ქართველ ერთან საბრძოლველად.

იმუქრებიან, ილანძღებიან, აგინებენ ა. ჩხენკელს, ქართველ სოციალდემოკრატებს, საერთოდ ქართველობას, რაზმავენ ნაძირალებს და ამზადებენ აჯანყებას, „ბუნტს", რათა ჩაჰკლან ჩვენი ნორჩი დამოუკიდებელი რესპუბლიკა და აღადგინონ თავიანთი გავლენა და ბატონობა, ამიერ კავკასიის და კერძოთ საქართველოს ნანგრევებზედ აღადგინონ „დიდი" რუსეთის მთლიანობა და ძლიერება.

ამ მიზანს ერთად შეუდგენია დღეს ყველა ჯურის, ყველა ტომის და ყველა მიმართულების რუსული სახელმწიფოებრიობის აგენტები. კადეტი და სოციალისტ-რევოლიუციონერი, სოციალ-დემოკრატი და შავ-რაზმელი, ჩინოვნიკი და აფიცერი, ყველა ხელიხელს ჩაკიდებული საერთო ფერხულში ჩაბმულა, ერთს საქმეს ემსახურება, ერთის აზრით გამსჭვალულა.

ეს აზრი—ამიერ-კავკასიის ერთა თავისუფლების დაღრჩობაა. ეს საქმე რუსეთის ძლიერების აღდგენაა.

კადეტების გაზეთს სომხური სოციალ-დემოკრატიული „ფაიქარი" შეხმატკბილებია, სოციალისტ-რევოლიუციონერთა „ზნამია ტრუდას" საოლქო ცენტრის ორგანო „იზვესტია" ეუბნება ბანს, რუსთა ეროვნული საბჭოთ არშიყის თვალით უცქერის ჯარისკაცთა და მუშათა დეპუტატების საბჭოს!..

რუსეთი კვლავ დაიპყრობს ამიერ-კავკასიასო... ჩრდილოეთის ქარი გაიხმობს და ჩაჰკლავს ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობასაო... აი რა იმედი ასულდგმულებს ჩვენს შინაურ მტრებს და ისინიც დაუსჯელობით გათამამებულნი ურცხვად პირში გვლანძღავენ და გვაგინებენ, გვემუქრებიან, თავიანთ ლაშქარს რაზმავენ რათა ზურგში მახვილი ჩაგვცენ და გაანადგურონ ჩვენი თავისუფლება, ამაგებენ უშვერის სიტყვებით ჩვენს მთავრობას და მის თავმჯდომარეს აკ. ჩხენკელს, რათა ნაძირალნი მიუსიონ მას და ძირს დასცენ...

არა, ყველა ამას ბოლო უნდა მოეღოს...

მთავრობა სასტიკად უნდა შეებრძოლოს მის წინააღმდეგ ამხედრებულ შავ-წითელ ხულიგანთა ოინებს, უსასტიკესი ზომებით უნდა სდევნოს დასაჯოს, გააძევოს ყველა, ვინც სამარეს უთხრის ჩვენს დამოუკიდებლობას, აღკვეთოს უნდა ყოველგვარი აგიტაცია, ზეპირი თუ ბეჭდვითი ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის, მის სეიმის და მთავრობის წინააღმდეგ, უნდა დაანგრიოს და მიწასთან გაასწოროს ყველა ბუდე და ბუნაგი, სადაც მოკალათებულან ჩვენი შინაური მტრები, სადაც იზადება ღალატი და ილესება მახვილი.

და უწინარეს ყოვლისა მთავრობამ უნდა დაუყოვნებლივ გააუქმოს ყველა ის დაწესებულება, რომელიც თავის თავად დღეს საჭირო აღარ არის, უვარგისი და მავნებელია ჩვენის სახელმწიფოებრივ ცხოვრებისათვის, რომელიც აუარებელ ფულსა ჰნთქავს და გასოციალისტებულ შავრაზმელ ჩინოვნიკების ბანაკად გადაქცეულა.

ეროვნულ საბჭოში ჩვენ უკვე მივუთითეთ მთავრობის წარმომადგენელს იმ გარემოებაზედ, რომ თვითმპყრობელობის ზოგიერთი აგენტი დღესაც სათავეში უდგას ამიერ კავკასიის საქმეს.

და ეხლაც ჩვენს თავს მოვალედ ვრაცხთ კვლავ მოვაგონოთ მთავრობას იგივე გარემოება და მაგალითისათვის თუნდ მისივე კანცელარია დავუსახელოთ. ამ კანცელარიას დღეს სათავეში უდგას დირექტორი კალაშევი, რომელიც ამიერ-კავკასიის ძველმა მართველებმა სპეციალურად რუსეთიდან მოიყვანეს, როგორც გამოცდილი და დახელოვნებული რუსიფიკატორი, რომელიც მართლაც რომ უებრო აგენტი იყო ცნობილ ჟუნკოვსკისა, რომელიც დღეს კადეტობს, ნამდვილად კი ამიერ-კავკასიის განადგურება, ძველი რეჟიმის აღდგენა მას ოცნებად და სიზმრად გადაქცევია, და ამ ვაჟბატონს იქვე კანცელარიაში ჰყავს მთელი გუნდი ერთგულ დამქაშებისა... სტრელკოვი, სოკოლოვი, პოლიანსკი...

ასეთივეა თვით სეიმის კანცელარიაც, სამინისტროების ჩინოვნიკობა და მრავალი სხვა დაწესებულება.

ღალატი იქ არის დაბუდებული, სადაც მთავრობას თავდადებულნი თანაშემწენი და თანამშრომელნი უნდა ჰყავდეს...

ეხლა ამას ბოლო უნდა მოეღოს, საზღვარი უნდა დაედოს ძველი რეჟიმის აგენტების ფარულ მოღვაწეობას, უნდა გასუფთავდეს აგვიას თავლები და ძირიანფესვიანად აღმოფხვრას ღალატი სამთავრობო დაწესებულებებში".

## ოსმალეთ-საქართველოს დამოკიდებულების გამო

გაზეთ „ვოზროჟდენიე"-ში მოთავსებულია ცნობა რადიოტელეგრამაზე, რომელიც მიუღია სტამბოლ დ 6 ქართველი ერის სახელზედ. ნამდვილი შინაარსი და ისტორია ამ რადიოსი შემდეგია:

1/14 აპრილს, როცა ამიერკავკასიის საზავო დელეგაცია მთავრობამ გაიწვია უკან თბილისში,—ტრაპიზონში დარჩენა გარემოებისწყვიტეს დაღესტან-ჩაჩნეთის დელეგატებმა (ტაპა ჩერმოევმა და ჰაიდარ ბამმატოვმა); დარჩნენ ამიერკავკასიის საზავო დელეგაციის ზოგიერთი მონაწილენიც: სახელდობრ, მაჰმადიანთა კომიტეტის წარმომადგენელნი (მამედ ჰაჯინსკი, ახმედ პეპინოვი) და საქართველოს ეროვნულ საბჭოს პრეზიდიუმის წევრი გრიგოლ ვეშაპელი.

დარჩენილთა მიზანი ის იყო, რომ ხელი შეეწყოთ კეთილმეგობრულ განწყობილების აღდგენისათვის ოსმალეთისა და კავკასიის ერთა შორის.

დელეგატებმა იცოდნენ, რომ მოკლე დროში ტრაპიზონში უნდა მოსულიყო ოსმალეთის გენერალისიმუსი და სამხედრო მინისტრი ენვერ-ფაშა, კაცი, რომელიც აწარმოებს „ახალგაზრდა-ოსმალების" პოლიტიკას და რომელიც იმავე დროს ძალიან ახლო სდგას გერმანიის იმპერიის მმართველ წრეებთან.

ენვერ-ფაშა მოვიდა ტრაპიზონში სწორედ ორი დღის შემდეგ, რაც ამიერკავკასიის დელეგაცია თბილისს გაემგზავრა. ენვერ-ფაშას მოჰყვნენ თან სულთანის ბიძაშვილი, პრინცი ომარ-ფარუქი (დედამისი ქართველი ქალია, ქობულეთელი), გერმანელი გენერლები, გენერალ ციცკეს მეთაურობით, (მაკენზენის შტაბს უფროსობდა წინად) და სხვანი.

რადგან ენვერ-ფაშა ბათომის სანახავად მიეშურებოდა, მან სთხოვა დელეგატებს, მასთან ერთად გამგზავრებულიყვნენ გემით, უფრო მეტი დრო დაგვრჩება სასაუბროდო.

ყველა დელეგატები ასეც მოიქცნენ, ამასთან ერთად ბათომში წამოვიდნენ ვეხიბ ფაშა და რაუფ-ბეი.

სამ დღის განმავლობაში დელეგაციას სრული შეძლება ჰქონდა, გაერკვია ნათლად ის კეთილმოსურნე შეხედულება, რომელიც აქვს ოსმალეთის მთავრობას კავკასიის ერთა მიმართ.

კერძოდ გრიგოლ ვეშაპელთან მოლაპარაკების დროს, რომელიც მთიელ და თათარ დელეგატების თანადასწრებით ხდებოდა, ენვერ-ფაშამ გადაჭრით განაცხადა, რომ მას, და მთელ ოსმალეთის მთავრობას, რომელიც გერმანიასთან შეთანხმებით მოქმედებს კავკასიაში, არავითარი აგრესიული მიზანი არა აქვს საქართველოს ტერიტორიაზე, თუ ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება შესრულებული იქნება. ენვერ-ფაშამ ისიც განაცხადა, რომ იგი და მთელი ოსმალეთის მთავრობა მომხრეა საქართველოს სახელმწიფოს და მთავრობის აღდგენისა.. (საუბრით ენვერ-ფაშას ნაამბობი შემდეგში იქნება დაბეჭდილი ჩვენს გაზეთში).

ამ მოლაპარაკებამ საბოლოოდ დაარწმუნა დელეგატები, რომ ე. გეგეჭკორის მთავრობის შეურიგებელი პოზიცია შეცდომა იყო და იგი საფრთხეში აგდებდა კავკასიის მთელ ხალხებს, უმთავრესად კი საქართველოს.

ამიტომ დელეგატებმა სამი რადიოტელეგრამა გამოგზავნეს თბილისს; ორი რადიო მთავრობის სახელზე იყო გამოგზავნილი (თათრების და მთიელების) მესამე რადიო გრიგოლ ვეშაპელმა საქართველოს ეროვნულ საბჭოს სახელზე გამოგზავნა. რადგან ბათომის რადიო-აღგური ომის დროს გაფუჭდა და გემიდან კი პირდაპირ თბილისს ვერ გადასცეს, ენვერ-ფაშას განკარგულებით სამივე ტელეგრამა კონსტანტინოპოლის მძლავრ სადგურს გადასცეს, რათა მას პირდაპირ გადაეცა თბილისში.

ნამდვილი ტექსტი გრიგოლ ვეშაპელის რადიო-ტელეგრამისა ასეთი იყო (ფრანგულიდან თარგმნით):

„თბილისი. საქართველოს ეროვნულ საბჭოს. „ოსმალეთის სახელმწიფოს პასუხისმგებელი წარმომადგენელი გულით მონდომილია, რომ აღადგინოს მეგობრული განწყობილება ქართველ ერთან, მაგრამ მთავრობის ახლანდელი პოლიტიკა ცუდ ბედს უქადის საქართველოს. საჭიროა დაუყოვნებლივ ზავის ჩამოგდება ოსმალეთთან"..

## ზავის გარშემო

### ლენინი ბრესტლიტოვსკის ხელშეკრულების შესახებ

ლენინი თავის წერილში „სერიოზული გაკვეთილი და სერიოზული პასუხისმგებლობა" სწერს:

ჩემს თეზისებში, რომელიც იანვრის 7 გამოვაქვეყნე ნათლადაა ნაწინასწარმეტყველევი, რომ ჩვენი ლაშქრის მდგომარეობის გამო რუსეთი იძულებული შეიქნებოდა უფრო უხეირო სეპარატიულ ზავზე დასთანხმებოდა, თუ ბრესტის ზავს არ მიიღებდა.

„მემარცხენენი" გაჰყვნენ რუსეთის ბურჟუაზიის მახეში, რომელსაც უნდოდა ჩაეთრია ჩვენ უსარგებლო ომში. მეტად ჯიუტი ყოფილა, რომ პრუსიას და თვით გერმანელებს ჩვენზე უფრო დამამცირებელი საზავო ხელშეკრულება მიუღიათ, ხშირად უცხოელთა პოლიციასაც დამორჩილებიან. ნაპოლეონ 1-ს ჯარით დახმარებაც კი აძლევდნენ. ნაპოლეონ პირველის ხელი ათჯერ უფრო სასტიკი იყო გერმანელთათვის ვიდრე ჩვენთვის ვილჰელმი და ჰინდენბურგი. პრუსიაში იყვნენ ისეთნი ვინც ტრაბახით კი არ აჯერებდნენ სხვებს არამედ სამარცხვინო საზავო ხელშეკრულებას აწერდნენ ხელს დაუძლურობის გამო.

## ომი

### საფრანგეთის ცნობა.

28 აპრილი. 27 აპრილის სამხედრო ცნობა. დღე ღამის განმავლობაში ქვეითა ჯარს მონაწილეობა არ მიუღია. სომის სამხრეთით ავრას ორივე ნაპირებზე საარტილერიო ბრძოლა ძლიერდება. მუდმივი სროლაა გაფუის არეში და ტყის კორიდეს ლე-შამბერტში. დანარჩენ ადგილებში სიწყნარეა.

დაჭერილი სააგენტო. გაზით „ტაიმსი"-სთვის. დასავლეთის ფრონტზე ბრძოლა მოკავშირეთათვის ხელსაყრელი იყო. მათ ტყვეებიც წამოიყვანეს. მოპირდაპირე ცდილობდა ლისის ჩრდილოეთით გადმოსულიყო, მაგრამ დიდად დაზარალებულს ანგარიში წაუხდა. მოკავშირეთა პოზიციებმა ვილერ-ბრეტონიასთან წინ წაიწია. აქ მათ 900 ტყვე ჩაიგდეს. კემელის არეშიც ტყვეები იშოვეს. „ეკო-დე-პარის" ცნობით, მტერი ვილერ-ბრეტონში დიდად დაზარალდა.

მთავარი ბანაკის ცნობა საფრანგეთში. 27 აპრილს, დამით, ოტურ-ესტაპლონის მეზობლად მტერმა მედგრად შემოუტია ერთს პოზიციას და ხელთ იგდო. ნერილეს სამხრეთ-დასავლეთით მტრის იერიში მარჯვედ მოვიგერიეთ. მოპირდაპირემ მეორე-ხარისხოვანი სიმაგრეები იგდო ხელთ.

ბრიტანულ ასპარეზზე საარტილერიო სროლაა.

### დასავლეთის ფრონტი

**გერმანელთა ცნობა.**

ბერლინი. აპრილის 24 დილის ოფიციალური. ფრონტზე არსებითად არა არის რა.

**იტალიელთა ცნობა.**

იტალიის ფრონტზე არსებითი არა არის-რა.

ლონდონი. 24 აპრილი. ინგლისელ პატრულებმა ზვერვის დროს, კანოეში, იერიში მიიტანეს მოპირდაპირის წინა სანგრებზე. მტერმა უკუ 6 დაიხია და დიდძალი დახოცილი დასტოვა. მტერი კამერლანთან გავაქციეთ. ჩვენ გავიმარჯვეთ კამერლანთან. ალაგის არეში თოფები და ტყვიის მფრქვევლები წამოვიღეთ. იტალიელ მფრინავებმა ვილორის ახლო ერთი მანქანა ჩამოაგდეს.

**საფრანგეთის ცნობა.**

პარიზი. აპრილის 28. ვილლერ-ნუაზესთან და ლაონის დასავლეთით ძლიერი საარტილერიო ბრძოლაა.

**გერმანეთ-ავსტრია-უნგრეთის ცნობა.**

კონსტანტინოპოლი. აპრილის 27. (მიღებულია გერმანულ ენაზე). ფლანდრიის ფრონტზე ფრანგებმა უკან დაიხიეს. ლანგემარკის სამხრეთით მტერი ტიენბახთან გადმოვიდა. მტერს ვილლია გავაწმინდეთ. ხელთ ვიგდეთ 1000 ტყვე. მივსდიეთ ლანგემარკის სამხრეთით მდებარე ზ. ზამლის და სიმბახის დასავლეთ ნ. პირთან მდებარე ბაკკის და ჰოკეს ხაზამდის. კემმელის მიდამოებში ძლიერი საარტილერიო ბრძოლა სწარმოებდა.

აპრილის 28. ჩვენი ქვეითი ჯარი ლოკერამდის მივიდა. ლისის მარცხენა მხარეზე ხელთ ვიგდეთ რამდენიმე ინგლისელი ტყვე; დივენკის მახლობლად ძლიერი საარტილერიო იერიშები მოვიგერიეთ. სომის ორივე მხარეზე საარტილერიო ბრძოლაა.

**ინგლისური პრესა ლაკრეს ალეზის შესახებ.**

პარიზი. აპრილის 28. ინგლისური პრესა აღწერს საფრანგეთ ბრიტანეთის ფრონტზე ლაკრეს ხელმეორედ დაჭერას. პრესა აღნიშნავს, რომ ეს არის ერთი დიდი გამარჯვება, რაც მეტად ძვირად დაუჯდათ გერმანელებს. ლაკრეს მიდამოები მთლად მოიფინა გერმანელთა გვამებით. ხანგვრთან ფრანგების ერთმა დივიზიამ მტრის 7 ძლიერი იერიში მოიგერია. ზეებრბრიუგეს-

ბრძოლაში ინგლისელებს მოუკლეს 16 ოფიცერი, დაუჭრეს 29, ჭრილობისგან გარდაიცვალა 3, უკვალოდ დაიკარგა 2, მოკლულია 144 მეზღვაური, დაჭრილია 355, ჭრილობისაგან გარდაიცვალა 25, უკვალოდ დაიკარგა 14.

**ამერიკის დახმარება.**

ვოლფის სააგენტო აღრიცხავს იმ სესხს, რომლითაც დაეხმარა ამერიკა მოკავშირეთ. ინგლისს 2,250 მილიონი დოლარი მისცა, საფრანგეთს 1,550 მილიონი, რუსეთს 325 მილიონი, ბელგეთს 93 მილ., კუბას 15, და სერბეთს 6 მილიონი დოლარი.

**ინგლისის სამხედრო სესხი.**

რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, მარტის 7, ქვედა პალატაში ბონარ ლოუმ შეიტანა 600 მილიონი გირვანქა სტერლინგის (ძველი კურსით: 6 მილიარდ მანეთზე მეტის) სამხედრო სესხის კანონპროექტი. ქრისტეშობისთვეში ბონარ ლოუ თხოულობდა 550 მილ. გირვანქა სტერლინგს, ამასთან მან იმედი გამოსთქვა, რომ ეს სესხი იქნებოდა უკანასკნელი ფინანსიურ წლის ბოლომდე. ყოველ დღე სამხედრო ხარჯებზე თებერვლიდან მიდის 6.557.000 გირვანქა სტერლინგი. ხარჯების გადიდება გამოწვეულია მესოპოტამიასა და პალესტინაში სამხედრო მოქმედებათა გაძლიერებით.

ქვედა პალატამ დაადგინა 600 მილიონ გირვანქა სტერლინგის სესხად მიცემა.

## ოსმალეთის შემოტევა

### კავკასიის ფრონტი

**აპრილის 5 ცნობა.**

**ზღვის პირის მიმართულება:** მშვიდობიანობა არ დარღვეულა. ყარსის რაიონში ჩვენი ნაწილები მდ. არპაჩაის მიმართულებით იხევენ.

**აპრილის 16 ცნობა.**

**ზღვის პირის მიმართულება:** უცვლელადაა.

**ყარსის მიმართულება:** აპრილის 15 სოფ. ყიზილ-ჩახჩახის დასავლეთით ქურთების რაზმი გამოჩნდა. რაზმმა სროლა აუტეხა ჩვენს ნაწილებს. 9 ს. ყიზილ-ჩახჩახს სოფ. პოდგორნოიდან ოსმალთა რეგულიარული ნაწილები მოუახლოვდნენ. ოსმალთა პოლკის უფროსმა განუცხადა ერთ ერთ პოლკის უფროსს, რომ მას ნაბრძანები აქვს ყიზილ-ჩახჩახის დაჭერა აპრილის 15 შუადღისთვის. ოსმალთა პოლკის უფროსმა აღუთქვა ჩვენ პოლკის უფროსს, რომ იგი სოფელს დაიცავს.

**ერევნის მიმართულება:** აპრილის 14. არტილერიის დახმარებით იერიშები მიიტანეს ჩინგილის და კუკჯახის გადასავალზე მდგარ ჩვენი ნაწილების წინააღმდეგ. ჩინგილის გადასავლიდან ჩვენი ნაწილები გამოდევნეს სოფელ ორგოვსა და არგაჯში, ჩვენებმა აპრილის 15-ს იგდირის სამხრეთით წინადვე შემაგრებული პოზიციები დაიჭირეს. ამავე დროს ჩვენ ნაწილების წინააღმდეგ დამბურუნის სამხრეთით მდებარე სიმაღლეებიდან იერიშები მიიტანეს ქურთებმა. კუკჯახის გადასავალი ჩვენებმა აპრილის 15-ს დასტოვეს მაგრამ შემდეგ მალე ისევ დაიკავეს. ერევნის რაზმის უფროსმა ხელ-მეორედ სცადა მოლაპარაკება ოსმალებთან. მან განუცხადა, რომ მოხდა შეთანხმება მთელ კავკასიის ფრონტზე სამხედრო მოქმედებათა შეწყვეტის შესახებ.

## ყარსის დაცემა

ჟურნალ-გაზეთებში ასეა აწერილი ყარსის დაცემა: ყარსში დღევანდელ წუთამდე ყველას ბრძოლა სწყუროდა, ყველანი კარგს გუნებაზე იყვნენ. შეაძლებოდა გეფიქრათ, რომ თუ ამ ჯარებს მოუხდებოდათ მტერთან შებრძოლება, მაშინ მტერი ბევრს სიკეთეს ვერას ნახავდა. მაგრამ განვლო რამოდენიმე დღემ და ჩვენი ჯარების წინ წაწევას უეცრივ გადაედინენ ოსმალები და სარაყამიშის მიმართულებით შემოუტიეს კიდეც. მათ სრულიად უზარალოდ აიღეს ბეღლი ახმეთი და ყარსისაკენ დიდის სისწრაფით წამოვიდნენ. ახლა კი მდგომარეობა შეიცვალა. თვით ყარსში, მიუხედავად იმისა, რომ სამღვთო წესები იყო გამოცხადებული, დისციპლინის შენარჩუნება შეუძლებელი გახდა. ჯარების ხელმძღვანელნი პირდაპირ ამბობდნენ, რომ ამ ჯარების იმედი სრულიად არ უნდა გვქონდეს· ათს აპრილს მდგომარეობა ყარსში საშინელებას წარმოადგენდა. გამოქცეულთა მიერ გამეფდა ერთგვარი პანიკა. ყოველისფერი აირ-დაირია. დაბნეულთა ცხენებით რეგულიარული ჯარები, მილიციონერები და მცხოვრებნი ერთმანეთში ირეოდნენ, გლეჯასახელობაზე უფრო ჰფიქრობდნენ, ვიდრე ციხე-სიმაგრის დაცვაზე. ყოვლად შეუძლებელი იყო წესიერების დაცვა. სადგურზე ვაგონებს იტაცებდნენ და იმას ღა ჰფიქრობდნენ, ვინ ვის გაასწრებდა. თვით შეიარაღებული ძალებიც კი ვერას ჰხედებოდნენ, რომ დამღუპველ უწესოებისთვის როგორმე აეროთებათ თავი.

მიუხედავად ასეთის უწესოებისა, ათ აპრილს, ნაშუადღევის 1 საათზე, მთავრობის თავმჯდომარის დეპეშა მოვიდა განკარგულებით, დროებით დაზავების შეჩერების შესახებ. დილით, 11 აპრილს, ოსმალებმა შემოუტიეს და იერიშით 2—3 ვერსის მანძილზე ყარსიდან ციხის ყველა პოზიციები დაიჭირეს. არავის წინააღმდეგობა არ გაუწევია. ამასობაში ჩხენკელის დეპეშაც მოვიდა ომის შეჩერების შესახებ... ომის შეჩერება სწორედ ყარსის დაცემას მოჰყვა...

## რუსეთი

**როსტოვ-ნახიჩევანში**

დონის-როსტოვი. ბოლშევიკებმა დონის-როსტოვის და ნახიჩევანის ქალაქის საბჭოები დაითხოვეს.

**სასწავლებელთა მუნიციპალიზაცია**

სახალხო კომისართა საბჭო ამუშავებს ყველა სასწავლებლების მუნიციპალიზაციას, გარდა უმაღლეს სასწავლებლებისა.

**ბელორუსიის ქალაქთა და ერობათა ყრილობა**

მინსკში არსდება საორგანიზაციო ბიურო ბელორუსიის ქალაქების და ერობათა ყრილობის მოსაწვევად. ბიუროში შედიან მინსკის ქალაქის თვითმართველობის 6 წარმომადგენელი, მინსკის საგუბერნიო ერობის 5 წარმომადგენელი, სამაზრო ერობის 2 წარმომადგენელი და ბელორუსიის საბჭოს დელეგატები. ყრილობას აპრილის ბოლოში მოიწვევენ. საორგანიზაციო ბიურო მიჰმართავს გერმანეთის მთავრობას ხელი შეუწყოს რუსეთის სხვა და სხვა ადგილებთან ურთიერთობაში. ამასთან ერთად დაგზავნილია მოწოდებანი ადგილობრივ ორგანიზაციებისთვის.

## უცხოეთი

**რუსეთის საელჩო ბერლინში**

ესპანეთის მთავრობამ განაცხადა, რომ მას მოვალეობის მოსახდენად ჰსურს, გადასცეს ბერლინში რუსეთის საელჩოს შენობის გასაღები იმ პირს, რომელზედაც გერმანეთის მთავრობა მიუთითებს, როგორც რუსეთის წარმომადგენელზედ. გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატმა თავისი რწმუნებულება იაფფეს მიანდო.

## ქრონიკა

### თბილისი.

◆ **მთავარი კომიტეტის კრება.** დღეს საღამოს 7 საათზე შესდგება საქ. ეროვნ. დემ. პარტიის მთავარი კომიტეტის კრება. განსახილველია სასწრაფო საკითხები.

◆ **სპირიდონ კედია** თბილისში ჩამოვიდა.

◆ **აღდგომის მეორე დღეს,** ორშაბათს 23 აპრილს, სახალხო სახლში გაიმართება სალიტერატურო-სამუსიკო დილა. 1, ივ. გომართელი—ლექცია: „თანამედროვე მომენტი"; 2, გ. ქუჩიშვილი—ახალი პოემა: „კოშკში"; 3, ძმანი კავსაძენი—სიმღერა; ილ. ქურხული—სკრიპკა; ი. ხადარაშვილი—თარი, 5, ვ. რუხაძე, ოზოლი მუშა, ლ. ახვლედიანი, ვ. საათაშვილი—ლექსები და მოთხრობები. 5, ნ. გოცირიძე, გ. იორდანიშვილი და რ. ჯიშილი—სცენები. ბილეთების ფასი სახალხოა, იყიდება თეატრის კასაში ყოველ დღე ნაშუადღევის 12 ს.—2 ს-დე და საღამოს 6 ს.—9 ს-დე.

◆ **ოსმალეთის საზავო დელეგაცია.** საგარეო საქმეთა სამინისტროში მიღებულ ცნობების მიხედვით ოსმალეთის საზავო დელეგაცია ბათუმში მოვა მაისის 5 ახალი სტილით. ამიერ-კავკასიის საზავო დელეგაცია განზრახულია, ამავე დღისთვის გაიგზავნოს.

◆ **რედაქციამ მიიღო** ქართველ ებრაელთა ორკვირეული ორგანოს „ხმა ებრაელის" მეორე ნომერი. ჟურნალი საინტერესოდ არის შედგენილი.

◆ **დამცველმა შტაბმა** დააპატიმრა სპეკულიაციისათვის ჯარისკაცი ლ. ლაჩინიანი, სარიყამიშის სამხედრო საამშენებლო კომისიის წევრი ლეონარდ ქშესიუკი და ოდესის მოქალაქე ერვანდ ნიშანიანი, ქუჩაში სროლისთვის დავით ალადრომელაშვილი, მე-2 რუსულ პოლკის ჯარისკაცები მელკუმ-გრიცეუკი და ხეჩუაშვილი, სახაზინო ქონების გაყიდვისთვის სპარსეთის ასეულის ჯარის კაცი გიორგი გვერდწითელი. თბილისის სადგურზე ჩუმიდანის მოპარვისთვის მე-8 სპარსულ პოლკის ჯარის კაცი ხაჩატურ ხაჩუმიანი, ქუჩაში ჩხუბისთვის პეტრე პანამარიოვი და კ. ჩეგორიოვი, ქურდობისთვის 1 რუსულ პოლკის ჯარის-კაცი ჩურნიხი, ვინტოვკის დამალვისთვის ბათუმში ყოფნის დროს მამია მხეიძე.

◆ **ამიერ-კავკასიის სამოსწავლო ოლქის** მართველობის კომისარიატის წევრი შახტანტინსკი სახალხო განათლების მინისტრის ამხანაგად ინიშნება.

◆ **მზრუნველობის მინისტრის ამხანაგი** ექიმი ლ. ა. მიასნიკოვი თანახმად თხოვნისა თანამდებობიდან განთავისუფლდა.

◆ **ლტოლვილები ყარსის ოლქიდან.** ყარსის საოლქო კომისარის ძამოევისაგან დეპეშა მოვიდა, რომ ყარსის ოლქიდან 100000 ლტოლვილი მოდის, რომელთა ერთი ნაწილი შეიარაღებულია. ლტოლვილებში ბევრია ოსმალელი სომეხი, რომელთაც წინად ამ ოლქს თავი შეაფარეს. კომისარი აღნიშნავს იმ უბედურებას, რომელიც მოსალოდნელია ლტოლვილთა მოძრაობის გამო და ინსტრუქციებს იახოვს. მთავრობამ განიხილა ეს დეპეშა და დაადგინა შეუთანხმდეს ოსმალეთის ადმინისტრაციას ყარსის ოლქის დაცლის ვადის გასაგრძელებლად.

◆ **აკაკი ხოშტარია** ცნობილი მრეწველი და ქველმოქმედი, რუსეთიდან თბილისში ჩამოვიდა.

◆ **პროფ. ზურაბ ავალიშვილი** პეტროგრადიდან თბილისში ჩამოვიდა.

◆ **ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოებაში.** 1) ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოებაში მოსამსახურე პირებმა გადასდეს საქართველოს ეროვნული საბჭოს ფონდის გასაძლიერებლად ჯამაგირის 2 პროც. 2. ამ ჟამად ქ. შ. წ. კ. გ. საზ. იბეჭდება შემდეგი წიგნები: 1) ბუნების კარი, 2) სიტყვიერების ისტორია ხახანაშვილისა XIX საუკ. 3) მოკლე სახელმძღვანელო ბუნების მეტყველებისა ს. იაშვილისა, 4) შ. მღვიმელის: „ცვარი", „ჩემი ყვავილები", „ოქროს თავთავი", 5) „მეხის ამბავი" გ. შარაშიძისა. დამზადებულია დასაბეჭდად: 6) დედა-ენა I ნ., 7) დედა-ენა II ნ., 8) ქართველი მწერლები ი. გომელაურისა, 9) „ფიზიკა" (კონცენტრიული კრებული) რ. ხუციშვილისა, 10) ხახანაშვილი · სიტყვიერების ისტორია XVIII საუკ. 11) ხრამელაშვილის არითმეტიკული კრებული I, II ნაწ., 12) საბავშო მოთხრობები გ. ქუჩიშვილისა, 13) დ. კლდიაშვილის მოთხრ. სრული კრებული, 14) კრილოვის იგავ-არაკები და სხვა მრავალი წიგნი. 3) დღეს, 17 აპრილს, საღამოს 6 საათზე წ. კ. გ. ს. კანცელარიაში დანიშნულია მთავარი გამგეობის მორიგი კრება.

◆ **ბათუმ-თბილისის ტელეგრაფი.** ნატანებიდან ტელეგრაფის უფროსი სურგულაძე მთავრობას დეპეშით ატყობინებს, ბათუმ-თბილისის ტელეგრაფი დღეს 17-ს და 45 წ. აპრილის 15 აღდგენილია.

◆ **ქართული ტეხნიკური საზოგადოება.** დღეს, საღამოს 6 საათზე ეროვნულ საბჭოს ბინაზე (ფრეილინის ქ. № 11) დანიშნულია ქართულ ტეხნიკურ საზოგადოების კრება, რომელზედაც წაკითხული იქნება მოხსენება სამხედრო სატეხნიკო კომიტეტის შესახებ.

◆ **მილიციელის მოკვლა.** აპრილის 16-ს, ღამის 3 საათზე, მიხეილის პროსპექტზე, სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ შეიარაღებულ ჯარისკაცთა ბრბომ თოფით მოჰკლეს მე-10 კომისარიატის უმცროსი მილიციელი ვ. ხარებაშვილი. იმავე ღამით ვორონცოვის ქუჩის ბოლოში, ჩაფურიშვილის სასადილოში უცნობმა პირებმა რევოლვერით მოჰკლეს ჩხეიძე ანდრია.

◆ **შრომის მინისტრი** შეეკითხა ქალაქის გამგეობას, არსებობს თუ არა ქალაქის დაწესებულებებში ნამსახურევ წლების რიცხვის მიხედვით დასაჩუქრების ნორმა და თუ არსებობს, რატომ არ იყენებენ მას დღემდის.

◆ **რედაქციამ მიიღო** საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილი"-ს იანვრის ნომერი. იგი ფრიად საინტერესოდ არის შედგენილი და დასურათებული.

## საზავო მოლაპარაკება ოსმალეთთან

ამიერკავკასიის რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია ოტტომანთა საიმპერატორო დელეგაციასთან მოსალაპარაკებლად ამ დღეებში გაემგზავრება ბათუმს. აპრილის 16-ს სასახლეში მოხდა სეიმის პრეზიდიუმის, რესპუბლიკის მთავრობის და სეიმის ფრაქციების შეერთებული სხდომა. სხდომაზე განიხილეს საზავო დელეგაციის შემადგენლობის საკითხი. პრინციპიალურად საკითხი უკვე გადასწყვიტეს. დელეგაციაში შევა არა უმეტეს 5 კაცისა. დელეგაციის თავმჯდომარეს განსაკუთრებულ რწმუნებლობით აღჭურვენ.

## მთავრობის ცნობა

აპრილის 14-ს სხდომაზე მთავრობამ დაადგინა მინისტრ-თავმჯდომარის ა. ი. ჩხენკელის თავმჯდომარეობით შესდგეს საგანგებო კომისია, რომელმაც ამიერ-კავკასიის ფედერატიულ რესპუბლიკის კონსტიტუცია უნდა შეიმუშაოს. ამ კომისიაში შევლენ ყველა მნიშვნელოვან პოლიტიკურ პარტიების ეროვნულ საბჭოების წარმომადგენლები. აგრეთვე თბილისში მყოფი პროფესსორები: დამბაროვი და ავალიშვილი, ნაფიცი ვექ. რცხილაძე და სეიმის წევრი რასულ-ზადე.

კონსტიტუციის საბოლოოდ დასამუშავებლად აირჩევა ცალკე კომისია, რომელშიაც შევლენ ა. ი. ჩხენკელი, ნ. ბ. რამიშვილი, საჰკიანი და უსუფბეკოვი.

მათ უფლება აქვთ კოოპტაციის სახით სეიმის წევრნი—მცოდნე პირები მოიწვიონ.

კომისიამ მოკლე ხანში უნდა შეატყობინოს გადაწყვეტილ ნაბიჯების შესახებ.

ფინანსთა მინისტრს ცალკე ევალება შეადგინოს რესპუბლიკის არიებულ საფინანსო სისტემის რეფორმის პროექტის შედგენა.

თვითეულ მინისტრს ევალება შეადგინოს პროექტი იმ საშუალებათა, რომლის შემწეობითაც სრულიად რუსეთის დაწესებულებანი მხარის საჭიროებას შეუფარდოს.

ვაჭრობა - მრეწველობის მინისტრს ევალება ამიერ-კავკასიისა და უცხო სახელმწიფოთა შორის სავაჭრო-სამრეწველო ურთიერთობის დასამყარებლად საგანგებო კომისიის არჩევის საკითხის გადაწყვეტა.

ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადების გამო ზოგიერთი სამინისტროები საერთო იქნება (მაგ. ფინანსთა, გზათამიმოსვლის და სხვა) სხვებს კი ადგილობრივი მნიშვნელობა ექნებათ, რის გამოც დებულებანი და შტატი ამ სამინისტროებისა არ უნდა შესდგეს, რის გამო, დაინტერესებულმა დაწესებულებებმა თვით უნდა შეადგინონ დროებით შტატები მთავრობის ნებართვით. ამიერკავკასიის მთავრობის კანცელარია გაუქმებულ უნდა იქნეს.

შინაგან საქმეთა მინისტრს ევალება გადაშინჯოს მთავრობის კანცელარიის მოხელეთა ჯამაგირის დაბრუნება.

სახელმწიფო ბანკის ოპერაციის შეჩერების გამო ფინანსთა მინისტრს ევალება განაგრძოს მიღება რუსეთში გასაგზავნ ფულისა.

ფინანსთა მინისტრს ევალება განაგრძოს ბონების ბეჭდვა მიუხედავად იმისა, რომ სეიმს ჯერ არ გადაუწყვეტია მთავრობის საემისიო უფლების საკითხი.

ფინანსთა-მინისტრს ევალება ყოველგვარი ზომები მიიღოს, რომ უპირველეს ყოვლისა მილიცია და მფრინავი რაზმები დააკმაყოფილოს.

ქ. გორის შუამდგომლობა 500000 მანეთის სესხად აღების შესახებ სასურსათო მინისტრს გადაეცეს განსახილველად.

რევიზიის სახით [illegible] ტყიბულის ქვა-ნახშირის [illegible] მუშების ჯამაგირების შესახებ ფინანსთა მინისტრს ევალება აპრილის 1-მდე გაუსწორდეს მათ ჯამაგირის ნახევარის ანგარიშით.

## ბათუმის დაცემა

(25 მარტიდან—1 აპრილამდე)

ბათუმის დასახმარებლად ფოთიდან 25 მარტს გაგვგზავნეს. ჩვენს ჯგუფში (წ. გვარდია) ძლივს 60 კაცი მოგროვდა. ბათუმში დილით შევედით და საღამოთი უკვე პოზიციაზე გაგვგზავნეს. ერთი გზის მაჩვენებელი გაგვაყოლეს. როგორც შემდეგ გამოირკვა, ამანაც არა იცოდა რა და ბევრი ხეტიალის შემდეგ წავაწყდით, ბათუმის წ. გვარდიას, ასე 6—7 ვერსის მანძილზედ ბათუმიდან. ბათუმში ჩვენ ნაბრძანები გვქონდა, 5 ვერსის მანძილზედ ერთი მთა არის, იქ „ოკოპები" და ის უნდა დაგვეკავებინა. რასაკვირველია, ეს მთა დამე 8 საათ. ბნელაში უცნობებმა ვერ ვიპოვეთ, და თანაც არ ვიცოდით სად მტერია დაბანაკებული და სად მოყვარე. ამიტომაც ბათუმის წ. გვარდიელების დახმარებით შევუდექით ამ მთის ძებნას, მაგრამ არც თურმე ამათ იცოდნენ რამე,—სადღაც წინა პოზიციებზედ ჩვენი ნაწილები სრულიად მოწყვეტილები დარჩენილან და მათთან მისვლა ღამე სახიფათო იყო, ამიტომ ვარჩიეთ ღამე გაშლილ მინდორზე გაგვეთენებინა, გავშალეთ „ცეპი" და განთიადს ვუცდიდით. როგორც კი ინათლა, შევუდექით მთას. გადავედით, ისევ გადმოვედით რადგან იქ არ აღმოჩნდნენ ჩვენები, მეორე მთაზედ ვიპოვნეთ. შუადღისას უკვე დავიკავეთ მოწინავე სანგრები და ჩავებით ბრძოლაში.

ჩვენს მარცხნივ მთაზედ ქუთათური მილიციონერები იდგნენ; უკან, ასე 2—3 ვერსის მანძილზე, ოზურგეთელი წ. გვარდიელები. მთელი დღე სროლაში გავატარეთ, თუმცა არ ვიცოდით მტრის რაოდენობა და იმისი ნამდვილი ბინადრობა. დამე გამუდმებული სროლა იყო! ერთი ტყვიის მფრქვეველიც მოგვიმატეს ჩვენ, ხოლო ქუთათურებს (107 კაცი) არაფერი.

ჩვენი ზარბაზნები 27 მარტს გვარიანად ისროდნენ და ზიანიც მიაყენეს მტერს. სამაგიეროდ მეორე დღეს 28 მარტს არაფერი ნაყოფი არ გამოიღო არტილერიის მოქმედებამ, ამიტომაც იყო, რომ საღამოზედ სრულიად გაჩერდა. მტრისა კი თუ აქამდის მარტო 2 ზარბაზნით გვიპასუხებდა 28-ს საღამოს უეცრივ 8 ზარბაზანი გაიჩინა და ისე „ზალპით" გვესროდა, რომ სანგრებიდან თავს არ გვადებინებდა. საღამოთი ჩვენ ისევ ტყვიისმფრქვეველი დაგვეხმარა, მაგრამ მალე მიგვატოვა და წავიდა—გაფუჭდაო.

როგორც კი შებინდდა, თათრებმა დიდის ყიჟინით ალაჰ, ალაჰის ძახილით ქუთათურებზედ იერიში მიიტანეს. პირველად შეაჩერეს ქუთათურებმა, ჩვენ აქედან (60 კაცი) გამუდმებული სროლით ვეხმარებოდით (მეორედ კი ვეღარ მოიგერიეს ეს იერიში) მტრის სიმრავლის გამო, თანაც 10 კაცი მოუკლეს და ჩვენმა შტაბმა (პატარა) ბრძანება მისცა ქუთათურებს—უკან დაიხიეთ. ფოთელების წინამძღოლი ამას ყველაფერს ამჩნევდა, მაგრამ ჩვენ არაფერს გვატყობინებდა, პირიქით, უფრო გვამხნევებდა,—„ბაბა, ბიჭებო მარჯვეთ მისცხეთ—ქუთაისმა გაიმარჯვაო".

ამის შემდეგ კიდევ თითქმის ერთი საათი ვუმკლავდებოდით მტერს და როდესაც ასი 100—200 ნაბიჯზე ტყვიისმფრქვეველები მოგვიმართა, მაშინ გაგვზავნა ი. ს—ძემ შტაბში კაცი, რას გვიბრძანებთო.

შტაბი იქ აღარ იყო და დარჩენილები გაჰქცეოდნენ, წუთუ ფოთელები ისევ იქ არიანო, ამა დაიხიეთ უკანაო.—ჩვენ სროლით ნელ-ნელა უკან წამოვედით. წამოვიღეთ მიტოვებული ტყვიისმფრქვეველი, შტაბიდან იარაღი და ტყვიები ყველა წამოვიღეთ და უკანა სანგრებში გადასვლას ვაპირებდით, მაგრამ არ ვიცოდით, ვის ხელში იყო ახლა ისინი. შტაბმა არაფერი განკარგულება არ დაგვიტოვა. მართალიც, პატარა ხანს უკან იქიდან სროლა აგვიტეხეს. ჩვენ დავიწყეთ და სროლის გათავებისას წამოვედით სტეფანოვკისაკენ. მეორე დღეს გავიგეთ, რომ სროლა ჩვენებმა აგვიტეხეს. აი, ასეთ უბედურ პირობებში უხელმძღვანელოდ ბრძოლა ყველა პატარ-პატარა რაზმებს.

* * *

ის, რაც ბათუმში ხდებოდა პირდაპირ აუწერელია. ასეთ უთაობას, ასეთ შეუგნებლობას იშვიათად თუ ვინმე გამოიჩენს. ვინ უფროსობს, ვინ განაგებს—„ძაღლი პატრონს ვეღარ იცნობსო“—სწორედ ეს იყო.

ვინც რომ ხალხს—ჯარს რასმეს დააბრალებს, ის ისტორიის წინაშე იქნება პასუხის მგებელი, ახლა კი ყოველივე პასუხი უნდა იმ პირთ მოეთხოვოს, ვინც მეთაურობენ, ვისაც მინდობილი აქვთ, თუ თვითონ მიიღო, კანონიერად, თუ უკანონოდ, ამ „დემოკრატიული“ ომის წარმოება.

ომი კი გაგონილა, მაგრამ „დემოკრატიული“ ომი არსად გაგონილა. ამგვარი ხნის მოლაპარაკებამ იდაჯი წაიღო, ორი საათი ომია—2 დღე ზავი, მერე ისევ ომი, „ნუ ესვრით, ოსმალები გაბრაზდებიან და ჩვენ დელეგატებს არ გამოუშვებენო“.

ირწმუნებიან, რომ ყოველი ომის საკითხი (იდეიური ამხანაგების) ხმის უმეტესობით სწყდებოდა, უბრალო „სტაცკი“ პირებისაგან. ყველას იმედი გადაუწყდათ, როდესაც ჰხედავენ ქალაქში შეიარაღებული თათრები დადიან თავისუფლად, „გაყიდულები ვართო“.

ხალხს—ბრბოს—ვერ დაუმდურებიათ. რადგან მან ამ სამსხვერპლოზედ მოიტანა ის, რაც მას ჰქონდა—მოიტანა სული და ხორცი,—მოიტანა თავისი შვილები,—მოვიდა ბათუმში,—ქართლიდან, კახეთიდან, ფშავი, ხევსური—მოვიდა სამშობლოს დასაცავად; არ მისცეს იარაღი ხაშურში,—სამტრედიაში არა, ბათუმში მიიღებთო. ბათუმში მატარებლიდან გემზე გადაიყვანეს და ფოთში თავი ამოაყოფინეს. გულ უბრყვილო გლეხ-კაცი, რომელსაც მატარებელიც კი არ ენახა, გაკვირვებული დარჩა, რას უნდა ნიშნავდეს ყველა ესაო?..

1 აპრილს (ბათუმის ჩაბარების დღეს) ბათუმში იქნებოდა ჯარის კაცები—არა ნაკლებ 14—15 ათასისა (ზოგი 18 ათასამდისაც აფიდებდა ამ რიცხვს). მაგრამ რა მოსაზრებით გამოგვისტუმრეს იქიდან, ჯერაც გამოურკვეველია. როგორც კი მტერმა ფორტი ანარია აიღო, შტაბს გადაუწყვეტია ქალაქის ჩაბარება. ჩვენ პოზიციაზედ წასასვლელად გამოწყობილნი დაგვრაზმეს და გემში ჩაგვსხეს—როდესაც გემი ნაპირს მოსცილდა გავიგეთ, რომ ქალაქს აბარებენ მტერსაო, როდესაც ჩვენ წინამძღოლს ვკითხეთ—იქნებ პროვოკაცია იყოს ჩვენი ბათუმიდან გასვლა, იმან „დამამშვიდა“—არა, იდეიურმა ამხანაგებმა მითხრეს, თქვენი რაზმი წაიყვანეთო; ამნაირად გაივსო მთელი ბათუმის გემები ჯარით და ისე ხალხით—და ერთი საათის განმავლობაში ბათუმის ნავთსადგური დაიცალა.

მალე დავინახეთ რომ ქალაქიდან თეთრი ბაირაღით გაემართენ ქალაქის მზრუნველები უმთავრეს ფორტისაკენ, ჩვენი არტილლერია მიყუჩდა, მტერი კი ისევ გვესროდა, ჩვენს გემსაც რამდენიმე უმბარა უთავაზა, მაგრამ უნაყოფოდ. ჩვენი ნავიდან მარტო გემი „მიშა“ ესროდა და ისე მიდიოდა ფოთისკენ. შეიქმნა წუხარება. უბრალო გლეხკაცის ლაპარაკიდან დარწმუნდებოდა კაცი, რომ თუ ის „ტეტია“ წამოვიდა სახლიდან, კიდევ თავს დასდებს სამშობლოსთვის: „ეჰე, რა მშვენიერი ყოფილა, კაცო, შორიდან უფრო კარგათ არ გამოჩნდა; სადღა მივყვებართ ამ დასაღუპელებსა, თუ ბათუმი წაიღო უფრო არ გათამამდება თათარი?

ქ. ფალავანდიშვილი.

## ბოლშევიკები ბაქოში

„ბორბაში“ აწერილია ბოლშევიკების დღესასწაულის ამბები ბაქოში:

18 მარტს, ნაშუადღევის 4 საათზე დაიწყო ბრძოლა. ქალაქი უმალვე ორ ნაწილად გაიყო: ერთის მხრით თათრები, ხოლო მეორე მხრით საბჭოს ჯარები. ზღვიდან ქალაქს ზარბაზნები დაუშინეს, განსაკუთრებით თაზაპირის მეჩეთის უბანს. ყოველგან ადგილს ბარიკადები დააკეთეს. ბრძოლა გაჩაღდა.

პირველში მაჰმადიანები იმარჯვებდნენ, თითქმის წინ წაიწიეს კიდეც, მაგრამ 19 მარტიდან, როდესაც ბოლშევიკების მხარეზე სომხებიც გადავიდნენ, მაშინ თათრები საგრძნობლად დაზარალდნენ და უკან-უკან დაიხიეს.

19 მარტს ბოლშევიკებმა აიღეს ნიკოლაევის ქუჩა და ციხე, რასაც მოჰყვა ქალაქის დარბევა, ცეცხლი და მასსიური ხოცვა-ჟლეტა თათრების უბანში. ტყვედ მიჰყავდათ ყველა თათარი, როგორც მამაკაცი, ისე ქალები. მალე თეატრები ასეთ „ტყვეებით“ გაავსეს. ათასში ერთხელ, აივანზე გადმოკიდებული იყო თეთრი დროშები წარწერით: „აქ რუსები ცხოვრობენ“. ჰხოცავდნენ ყველას, ვინც თათრის სახელს ატარებდა. შემაძრწუნებელი სცენები მოხდა, როდესაც სომხის რაინდები მთელს ზიზღსა და ბოღმას უსუსურ ბავშვებზე იყრიდნენ.

21-ს დაიწყეს დახოცილთა აკრეფა და ფურგონებით გაზიდვა. უმთავრესად დაზარალდნენ ღატაკი და საწყალი ხალხი, დაზარალდა „პროლეტარიატი“, ვიდრე „ბურჟუები“, ვის წინააღმდეგაც ახედრებდნენ ბოლშევიკები სისხლის მწყურვალთ.

ბულვარზე დასწვეს ი. გაჯინსკის სახლი, ნიკოლაევის ქუჩაზე გადაჰბუგეს გაზეთ „კასპის“ რედაქცია, ასევე გადაბუგულია მუსულმანთა საქველმოქმედო საზოგადოების შენობა „ისმაილი“, მთელი „შეითან ბაზარი“ და ბაზარი შემახინკაში.

სამრეწველო უბანში შედარებით წყნარება იყო, თუმცა აქაც მოხდა რამდენიმე მკვლელობა. ქალაქში სამხედრო წესები გამოაცხადეს. აკრძალული იყო ყოველგვარი კრება და მოწოდება. დახურული იქმნა ყველა გაზეთები, ბოლშევიკურ ორგანოების გარდა.

ქალაქი მთელი ქვეყნიდან მოწყვეტილია. იგი ორ ნაწილადაა გაყოფილი: ევროპიულ და აზიურ ნაწილებად, ორივეს თავისი კომისრები ჰყავს.

პეტროვსკიდან დაღესტნელთა პოლკები მოდიან. კიდეც მოუახლოვდნენ ბალაჯარს, მაგრამ 25 ვერსით დაიხიეს.

ქალაქში ლუკმა პური არ მოიპოვება. უკანასკნელ დღეს მხოლოდ ½ გირვანქას კაკალს აძლევდნენ. წყალი არსადაა და ძველი დაზოგილი აშმორებული წყლით იკლავენ წყურვილს. ყოველს ქუჩაში შეხვდებოდით ან წყურვილით ან და შიმშილით მიხრწნილს, მომაკვდავს. რეკომენდაცია თუ გქონდათ, შეგეძლოთ გეშოვათ გირვანქა პური 12—15 მანეთად. ფქვილის შოვნა შეიძლებოდა, ფუთი მანეთი 200 მანეთი, ისიც ნახევარი ვერცხლის ფული უნდა ყოფილიყო.

ქალაქიდან უნებართვოდ არავის უშვებდნენ. 70 ათასზე მეტი რუსი მუშა ჩაწერილია წასასვლელად, მაგრამ არავის არ უშვებენ. სიცოცხლე ჩაკვდა. მოწყენილობისა არა ისმის რა...

საბჭოს კრებაზე ყველაფრაქციებმა იცნეს ბოლშევიკური მთავრობა, გარდა ერთი მენშევიკებისა. დაშნაკცაკანებმა ახარეს ბოლშევიკურ მთავრობას ვითომც თბილისის სომხეთა ბურჟუაზია და პროლეტარიატი გულისფანცქალით ელის მათს ჩამოსვლას და გაბატონებას.

ბაქოში სამი მთავრობაა: აღმასრულებელი კომიტეტი, კავკასიის ლაშქრის რევოლიუციონური კომიტეტი და რევოლიუციის დამცველი კომიტეტი. თვითეული მათგანი თავის-თავს უზენაეს ორგანოს უწოდებს. არავინ იცის რით გათავდება საქმე.

ბაქოში ბათუმის დაცვა არა სწამთ და ამიერ-კავკასიის სეიმზე ამბობენ, ეგენი თურქოფილები არიან, ოსმალთა ორიენტაციას იზიარებენო. ამ რამდენიმე დღის წინ რადიოტელეგრამმა მოვიდა სომხთა ეროვნულ საბჭოს სახელზე შემდეგის შინაარსით: „გიპასუხებთ თქვენს შეკითხვაზე: თქვენთან შერიგებას არა ვფიქრობთ, თუ გსურთ, თქვენ თვითონ აქ მობრძანდით. თათარ-ბავშვებისა, უმწეო ქალებისა და უმწეოთა ამოხოცვის დამნაშავეთ თვითონვე მივაგნებთ. თქმა არ უნდა, სასტიკ სასჯელს მიიღებენ ჩვენგან. თქვენი მდგომარეობა კავკასიაში უკვე უნდა მოგეხსენებოდეთ... ხელს აწერს: დაღესტნისა და ჩრდილოეთ კავკასიის იმამი“.

ბოლშევიკებმა თავიანთი ძალები ორ ნაწილად გაჰყვეს: ერთი პეტროვსკისაკენ წავიდა დაღესტნელების წინააღმდეგ, ხოლო მეორე ნაწილი აჯიქაბულისკენ გაემგზავრა ველური დივიზიის საწინააღმდეგოდ.

6 აპრილს ველურ დივიზიასთან ბრძოლაში ბოლშევიკებმა დიდი ზარალი ნახეს და სადგურ ალიატის იქით დაიხიეს, მიუხედავად ამისა იგინი მაინც იმედოვნებენ, რომ თბილისსაც აიღებენ, ელიან მხოლოდ მაშველ ჯარებს ანტონოვის მეთაურობით.

## წერილი რედ. მიმართ

7 აპრილს, ღამის 10 საათზე, მილიციონერებმა მოჰკლეს ს. ნუკრიანში, რომელიც ქ. სიღნაღის ნაწილს შეადგენს, ნიკა ნადირაშვილი და ნინო ელიზბარაშვილისა.

ამ მკვლელობამ დიდად აღელვა სამი სოფლის (ნუკრიანის, მაღაროს და ქიტრობის) საზოგადოებანი, რომელნიც მოითხოვდნენ გაეგებინებინათ მათთვის, ვისაგან და რა ნიადაგზე მოხდა ეს მკვლელობანი. ხოლო სიღნაღის მილიციის უფროსმა დ. ნადირაშვილმა, რომელსაც დიდი ხანია ჩემთან პირადი შურისძიება აქვს, ამ საზოგადოებათა აღელვება მე მომაწერა და მის შემდგომ კიდეც გადაწყვეტილი ყოფილა, როგორც მოკვლა. ეს მე გავიგე და იძულებული გავხდი, ამასთანა დროს მიმეტოვებინა მრევლი და დროებით მიმეფარებინა თავი, ჩემი კეთილის-მყოფელთა რჩევით. თავის მეფარებლის კი მდარაჯობდა დაუღალავად ჩემივე მრევლი.

ვაცხადებ რა ამას, მოვითხოვ, რათა გამოსამართლონ ყველა ქ. სიღნაღში მომქმედ პარტიების წარმომადგენლებმა იმ სიტყვის შინაარსის ნიადაგზე, რომელიც მე წარმოვსთქვი დახოცილთა დასაფლავებაზე და წარმოთქმულს დაამოწმებენ დასაფლავებაზე დამსწრე ხალხი. და თუ შინაარსი ჩემი სიტყვისა აღმოჩნდება ხალხის აღელვების ამომწვევად, მაშინ შეუბრალებლად ვიკისრებ დანაშაულს და მივიღებ ყოველნაირ სასჯელს. ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდა ის, რა მიზნითაც მე სიტყვა წარმოვსთქვი: ე. ი. ხალხის დამამშვიდებლად და არა ასაღელვებლად, მაშინ ერთხელ და სამუდამოდ დაფარული და უზრუნველყოფილი ვიყო დ. ნადირაშვილის შურისძიებისაგან.

მთელმა ჩემმა მრევლმაც და ბევრმა სხვამაც გარეშე ჩემი მრევლისა კარგად იციან, რომ ყოველ შემთხვევაში ვამბობ ხოლმე სიტყვებს, რომლებსაც წინადვე ვამზადებ და ვწერ. მით უმეტეს არ შემეძლო, რომ არ წარმომეთქვა შესაფერი სიტყვა ამ შემთხვევაში. ეს წინადვე მომზადებული სიტყვა დაწერილი მაქვს და შემიძლიან მოთხოვნისთანავე უმალვე წარვადგინო, სადაც საჭირო იქნება.

დეკ. ვახილი ნათაძე.


## სააღდგომოდ გამოვა ჟურნალ „პრომეთე“-ს

მესამე ნომერი.

შემდეგის შინაარსით:

1. აკაკი პაპავა „სოლეილდორ“.
2. ი. გრიშაშვილი. ლია!
3. კოწია გამსახურდია. ორი სონეტი. (1. გრაფ ცეპელინს. 2. ემილ ვერჰარენს.)
4. ვ. ბარნოვი. ამქრის მშვენება.
5. გ. ახვლედიანი. დასაბამი ნივთთა. (რიგვედა ჰიმნი).
6. ქ. ჰეჰიძე. ნარზანის სამეფოში.
7. ხ. წიველი. თალიკო.
8. ექვთიმე თაყაიშვილი. ოყურეშის ეკლესია და მასში დაცული ნივთები.
9. დ უზნაძე. ორგანიული მსოფლიო მხედველობა.
10. ვარლამ ჩერქეზიშვილი. საქართველოს პეტიცია ჰააგის კონფერენციისადმი 1907 წ. (2—1)

## ქართული კლუბი

კვირას, 19 აპრილს 1918 წ.

ქართული დრამატიულ დასის მსახიობთა მიერ ეფ. მესხის მონაწილეობით, წარ. იქნება ან. ერისთავ ხოშტარიას რომანიდან გადმოკეთებული ვ. გარრიკის მიერ

# მოლიპულ გზაზე

5 მოქ. და 9 სურათად, ეპილოგით.

მ ნ წ ი ლ ე ო ბ ე ნ ქალნი: ანდრონიკაშვილი ელო, მესხი ეფემია, ივერიელი ა. კავთელი ა., ჩერქეზიშვილი ლ., ჯავახიშვილი ნ. ვაჟნი: ბარველი ვ., გელოვანი მ., მატარაძე ვ., კობახიძე ი., თარალაშვილი ი., სარაული მ., ფანგიშვილი პ.

დასაწყისი საღამოს 8½ საათზე ✦ ✦ ბილეთები იყიდება.

კავკასიის სამოსწავლო ოლქის კომისარიატის მიერ ნებადართულია სამ თვიური

# იურიდიული კურსები

ნაფიც ვექილ ნ. ნ. მაქსიმოვის ხელმძღვანელობით

კურსების მიზანია: 1) იურიდიულ მეცნიერებათა სწავლება, 2) იმ პირთა მზადება, ვისაც ჰსურს იმსახუროს სახელმწიფო, საზოგადო თუ კომერციულ დაწესებულებათა შორის. პროგრამა: სისხლისა და სამოქალაქო უფლებათა საფუძვლები; სისხლისა და სამოქალაქო პროცესები; სახელმწიფო და სააdმინისტრაციო უფლებათა მოკლე კურსები; სათამასუქო და სავაჭრო უფლებები; საქალაქო და საერობო დებულებანი; წესდება მილიციის შესახებ; კოოპერაციის კურსები. სასყიდელი თვითეულ კურსისა 200 მანეთი, რაიც ორჯერადად შეიძლება შემოიტანონ. ჩაწერა შეიძლება ელისაბედის ქუჩაზე, № 67, საღამოს 5—7 საათზე. მეცადინეობის დაწყების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (ნ—1587—1)

ცხადდება, რომ შემოწირულება საქართველოს ეროვნული ფონდის გასაძლიერებლად მიიღება ეროვნულ საბჭოს სამმართველოში, (ფრეილინის ქუჩა, 11, საკუთარი სახლი) დილის 11—3-მდე

ახალი წიგნი

გრიგოლ ვეშაპელი.

# საქართველო და რუსეთი

(მეფე ერეკლეს პოლიტიკა)

საქართველოს ისტორიული საზღვრების რუკით.

ფასი 1 მანეთი და 50 კაპ.

წიგნი იყიდება: „საქართველოს“ კონტორაში და კიკნაძის „ნოვაია რეჩის“ და „წერა-კითხვის“ წიგნის მაღაზიაში.

მომხმარებელ საზოგადოების

# „დახმარების“

გამგეობა ამით აუწყებს საზოგადოების წევრებს, რომ საზოგადოების საქმე გაფართოვდა და ამ კვირას, აღდგომის წინა დღეებში, გაიხსნება განყოფილება

მთავარი მაღაზია მოთავსებული იქნება ერევნის მოედანზე, ყოფილ ძმ. ფორაქიშვილების მაღაზიაში, ხოლო განყოფილება—ოლღას ქუჩაზე,—იქ, სადაც დღეს იმყოფება „დახმარება“.

საზოგადო კრების დადგენილებით თითო წევრმა უნდა გადიხადოს 5 მ. საწევრო ფული და 50 მ. საპაიო გადასახადი. წინად მიღებული ფული ჩაითვლება ამ თანხაში, ისე რომ ვისაც გადახდილი აქვს 18 მანეთი, უნდა სასწრაფოდ შემოიტანოს დანარჩენი 42 მანეთი.

ფულის მიტანა და წევრადა ჩაწერა შეიძლება დღეიდან ორივე ზემოხსენებულს მაღაზიაში. აგრეთვე: წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში (ივ. ვასილიშვილთან) და გაზეთ „საქართველოს“ კანტორაში (ეგნატე გველესიანთან).

ერევნის მოედანზე მაღაზია გაიღება აღდგომის წინა დღეებში.

მარტის 20 გაიხსნა ახალი

# საავადმყოფო

უკბილოთათვის

ექიმ ი. მ. მჭედლიშვილის და ლ. მ. ნაზარეთიანცის

საავადმყოფოში იღებენ კბილის საექიმო კაბინეთი ხელოვნურ კბილების ტეხნიკურ ლაბორატორიით. მიხეილის პროსპექტი და („კიროჩკინის“ ქუჩ. კუთხე № 22 შესავალი კიროჩკინის ქუჩიდან). ტელეფონი 10—87.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 საათ.

ვენერიულ ავადმყოფების მიღება—საღამოს 4-დან—8-მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—5 საათამდე.

ღარიბები მიიღებიან კვირაობით, 10—12-მდე უფასოდ.

სამკურნალო კაბინეთი ექიმ

ალექსანდრე დავითის ძის

# ქაჯაიანი

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება) ავადმყოფთა მიღება ქალებთა და ბავშვთათვის 4—6 განაჩენები 6—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116 სასტუმრო „ნაილის“ პირდაპირ ტელეფონი 14—28.

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

# კალანდარიშვილი

უმთავრესი ექიმი ააძ. კოლეგიათა კონსულტანტი.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებათა ავადმყოფებს მიიღებს დილით 8—9-მდე საღამოს 5—7.

ტელ. № 17—21.

ექიმი

# მ. წინამძღვრიშვილი

ყ. ორდინატორი ხარკ. უნივ. და სამედიც. ინსტ-ის შინაგან სნეულებათა კლინიკებისა. გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად. იღებს: დილით 10—12 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე, ყოველ დღე, გარდა კვირისა. ელისაბედის ქუჩა № 7, ვორონცოვის ძეგლის ახლო, სასტუმრო „ბელ-მონდის“ პირდაპირ. თ—1018—28

ექიმი

# ნ. ი. მახვილაძე

იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა (ხელოვნური პნევმოტორაქსი) ქარებით და სხვა შინაგან სნეულებათ ავადმყოფთ ყოველ დღე დილით 11—12 საათამდე და საღამოთი 4—6 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11. თ—1536—19

ექიმი

დიმიტრი (რამინ) იოსების ძე

# ჟორდანია

სწამლობს შინაგან და ვენერიულ ავადმყოფობით, სიფილისი და მისი შედეგები, სისხლ ნაკლებობა, ქრონიკული მალარია და ქრონიკული ტრიპერი საღამოს 5—7 საათ. კვირის გარდა.

გორის ქუჩა № 6, დიღუბე.

ტელეფონი 14—37

1თ—960—36